ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 45

ქალაქი ბათუმი 10 თებერვალი 2023 წელი

ერთი მხრივ, **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ჯემალ სურმანიძის სახით და მეორე მხრივ, **ინდ.მეწარმე ლიანა კასპელაშვილი** ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტისა და განათლების დეპარტამენტის უფროსის ნაზიბროლა ბერიძე გაბაიძის 2023 წლის 08 თებერვალი MES 6 23 0000141307 მოხსენებითი ბარათის (ბაზრის კვლევა) საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამა - „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში" ფარგლებში სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედისა და სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქობულეთის N3 საჯარო სკოლის ინკლუზიური ცენტრების ხელოვნების ოთახებისათვის რესურსების სახელმწიფო შესყიდვა, დანართი 1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად (CPV- 19436000; 19435200; 24910000; 24952000; 37820000; 37821000; 37822400; 44810000) (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი და/ან მომსახურება).
2.3. საქონლის სახეობა, რაოდენობა და სხვა სპეციფიკაციები მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1-ში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2 846,50 (ორი ათას რვაას ორმოცდაექვსი ლარი და 50 თეთრი) ლარს, (მათ შორის CPV-19400000-583,50 ლარი; 24900000-411 ლარი; 37800000-724 ლარი; 44800000-1128 ლარი) დღგ-ს გათვალისწინებით.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს უზრუნველყოს არაუგვიანეს 2023 წლის 13 მარტისა.
4.2. საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.
4.3. მიმწოდებელმა საქონლის მოწოდება უნდა უზრუნველყოს შემდეგ მისამართებზე:
4.3.1. სსიპ - ვახტანგ პაპუნიძის სახელობის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა - ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, წერეთლის ქ. №4;

4.3.2. სსიპ - თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლა - ქალაქი ქობულეთი, რუსთაველის ქ. №168

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.
5.3. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.4.საქონლის ტრანსპორტირებას ახორციელებს მიმწოდებელი საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებითა და ხარჯებით.
5.5. ტრანსპორტირების მომსახურების გაწევისას, მიმწოდებელი პასუხს აგებს მოსაწოდებელი საქონლის დაზიანებაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
6.2. ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.
6.4. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

7. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ვარგისიანი და ხარისხიანი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
8.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის უფროსი ნაზიბროლა ბერიძე გაბაიძე, სკოლამდელი და ზოგადი განათლების განყოფილების უფროსი შუშანა სურმანიძე, ამავე განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მაია ქონიაძე და შესაბამისი სკოლის დირექტორები.
8.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.
9.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა, დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
10.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.
10.4. 10.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
10.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.
14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
14.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
14.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
14.6. ხელშეკრულება ხელმოწერილია, შტამპდასმულია ელექტრონული ფორმით.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

აჭარის არ განათლების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველო, ქალაქი ბათუმი
ლ. გუდიაშვილის ქუჩა N4
ს/კ 245 427 667

მიმწოდებელი:

ინდ მეწარმე ლიანა კასპელაშვილი

საქართველო, ბათუმი,
ჯინჭარაძის 19
ს/კ 01002028457
სს „საქართველოს ბანკი“
მფო BAGAGE22
ა/ა GE49 BG00 0000 0159 2522 00

მინისტრის პირველი მოადგილე
ჯემალ სურმანიძე

Jemal Surmanidze 61005001449
Digitally signed by Jemal Surmanidze
Date: 2023.02.10 15:57:08

ინდ მეწარმე
ლიანა კასპელაშვილი

Liana Kaspelashvili 01002028457
Digitally signed by Liana Kaspelashvili
Date: 2023.02.10 15:58:28

დანართი N1

ფასების ცხრილი

N	დასახელება	მახასიათებელი	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)
1	ბუნებრივი ბოჭკოებისგან დამზადებული ტექსტილის ნართი და ძაფი	ბუნებრივი ბოჭკოებისგან დამზადებული ტექსტილის ნართი და ძაფი	5 მეტრი	1,5	7.50
2	წებო PVA 2,5 კგ-იანი	გამოიყენება სხვადასხვა მასალის დასაწებებლად, 2,5 კგ	3 ცალი	9	27
3	საქსოვი ძაფები	სხვადასხვა სისქის და ფერის შალის ან ბამბის ფერადი ძაფები, რომელიც გამოიყენება ნაქსოვი ნაწარმის შესაქმნელად (3-3 ერთნაირი ფერის)	72 ცალი	8	576
4	აქსესუარების კომპლექტი (ჯაჭვი, ჩამკეტი, მეტალის რგოლები)	ხელნაკეთი ნივთების ასაკინძი დამხმარე აქსესუარები	6 კომპ	20	120
5	ფუნჯები - 6 ცალიანი კომპლექტი	სხვადასხვა ზომის, ბრტყელი და მრგვალი, სინთეტიკური ფუნჯები კერამიკული ნაკეთობების მოსახატად	10 კომპ	35	350
6	გუაში	луч- ის ფირმის 12 ფერიანი	24 ცალი	22	528
7	აკრილის საღებავები	შესაძლებელია გამოიყენოთ ტილოზე, ხეზე, ჰაერზე შრობად თიხაზე, თაბაშირზე, მუყაოზე, ქაღალდზე, ტყავსა და პლასტმასზე. სხვადასხვა ფერი	60 ცალი	10	600
8	ფერადი პასტელების ნაკრები	ნაკრებში შედის 12 ფერადი პასტელი. დამზადებულია მაღალი ხარისხის მასალებისგან და კომფორტული გამოსაყენებელია.	24 კომპლექტი	6	144
9	საღებავი ფუნჯების ნაკრები	სხვადასხვა ზომის 6 ცალიანი ნაკრები	10 ნაკრები	11	110
10	პლასტელინი	6 ფერიანი ნაკრები	48 შეკვრა	8	384
				სულ ჯამი 2846,50 ლარი	